ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №01.01.14/30/101

ქ.თბილისი **08 მაისი 2019 წ.**

ერთის მხრივ, ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გამგებლის კახაბერი ლაბუჩიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „სააგენტო სერვის ცენტრი ტგმ“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ტრისტან ჟორჟოლიანის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, №NAT190008320 ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად აუქციონის გარეშე დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი“ -ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია-რაიონის ტერიტორიაზე ქუჩების, შიდა კვარტალური გზების, ორმოულებისა და მიმდინარე საგზაო სამუშაოებისათვის დეფექტური აქტებისა და ტექნიკური დავალებების შედგენის მომსახურების შესყიდვა ელექტრონული ტენდერის საშუალებით აუქციონის გარეშე;

2.2. CPV კოდი 71320000.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 6 951,38 (ექვსი ათას ცხრაას ორმოცდათერთმეტი ლარი და 38 თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით;

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს;

3.3. გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

4.2. ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

5.2 სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოთა შესრულების ფორმა №2-ის საფუძველზე შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ: ქ.თბილისის ისნის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი დავით მალაზონია.

6. ტექნიკური დავალება და მომსახურების გაწევის ვადა

6.1. გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი

რაიონის ტერიტორიაზე ქუჩებისა და და შიდა ეზოების მიმდინარე საგზაო შეკეთების სამუშაოებზე დეფექტური აქტებისა და ტექნიკური დავალებების შედგენა

6.2.კონკრეტული მისამართები მიმწოდებელს გადაეცემა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე;

6.3. წარმოდგენილი უნდა იყოს:

6.3.1. სამუშაოების შესაბამისი ნახაზები და ესკიზები;

6.3.2. მოცულობების უწყისი;

6.3.3. ხარჯთაღრიცხვები (ყველა აუცილებელი სამუშაოების გათვალისწინებით;

6.3.4. ტერიტორიის აგეგმვითი სამუშაოების ჩატარება უნდა მოხდეს WGS-84 კოორდინატთა სისტემაში UTM პროექციაში GeoCORS-ის სისტემაში. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს აგეგმილი წერტილების ინსტრუმენტიდან ამოღებული ტექსტური (IDX) (ელ.ტაქომეტრის და GPS-ის) ფაილის ამობეჭვდა და შემსყიდველთან წარდგენა;

6.4. შესასრულებელი სამუშაოებისას მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით;

6.5. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ზედამხედველობა სამუშაოების განხორციელების პროცესში, კონსულტაციების გაწევა და საჭიროების შემთხვევაში დეფექტური აქტების კორექტირება შემჭიდროებულ ვადებში შემსყიდველთან შეთანხმებით.

6.6. მიწოდების ადგილი: ისნის რაიონის გამგეობა, მის. ნავთლუღის ქუჩა №8-1;

6.7. მომსახურება განხორციელდება ეტაპობრივად, დასრულების საბოლოო ვადა არაუგვიანეს 2019 წლის 15 დეკემბერი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით;

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით;

8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ

.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2020 წლის 15 იანვრის ჩათვლით.

14. სხვა პირობები

14.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

14.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
ისნის რაიონის გამგეობა
მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1
ხაზინის ერთიანი ანგარიში

კოდი TRESGE22
საიდენტ. კოდი 208 204 959

გამგებელი
_____ კ. ლაბუჩიძე

ISANI DISTRICT GOVERNMENT OF TBILISI CITY
Digitally signed by ISANI DISTRICT GOVERNMENT OF TBILISI CITY
Date: 2019.05.08 14:24:48 +04'00'

მიმწოდებელი:
შპს „სააგენტო სერვის ცენტრი ტგმ“
მის. ქ.თბილისი, შირაქის ქუჩა №11
სს „საქართველოს ბანკი“
ა/ა GE53 BG00 0000 0373 2512 00

კოდი BAGAGE22
საიდენტ. კოდი 206 030 418

დირექტორი
_____ ტ. ჟორჟოლიანი

LTD SERVICE CENTER AGENCY TGM
Digitally signed by LTD SERVICE CENTER AGENCY TGM
Date: 2019.05.08 13:47:03 +04'00'

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	მომსახურეობის დასახელება	განზომილებ ის.ერთეული.	რაოდენ. ლარი	ერთ. ფასი %	სულ ლარი
1	რაიონის ტერიტოეიაზე ქუჩების, შიდა ეზოების, ორმოულებისა და მიმდინარე საგზაო სამუშაოებისათვის დექფექტური აქტების მომზადება	ლარი	765 414	0.76965 %	5891
	სულ:	ლარი	765 414		5891

შ.პ.ს. „სააგენტო სერვის ცენტრი ტ.გ.მ"-ს დირექტორი ტ. ჟორჟოლიანი

01. 05. 2019 წელი

LTD SERVICE CENTER AGENCY TGM

Digitally signed by LTD SERVICE CENTER AGENCY TGM
Date: 2019.05.01 08:52:11 +04'00'

LTD SERVICE CENTER AGENCY TGM

Digitally signed by LTD SERVICE CENTER AGENCY TGM
Date: 2019.05.08 13:48:22 +04'00'

ქ. თბილისი 08 მაისი 2019 წ.

„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა რაიონის ტერიტორიაზე ქუჩების, შიდა კვარტალური გზების, ორმოულებისა და მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოების დეფექტური აქტების შედგენის მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

რაიონის ტერიტორიაზე ქუჩების, შიდა კვარტალური გზების, ორმოულებისა და მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოების დეფექტური აქტების შედგენის მომსახურების შესყიდვაზე, 2019 წლის 08 მაისს გაფორმებული №01.01.14/30/101 ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირი:

გამგეობის ინფფრასტრუქტურული
პროექტების მართვისა და
პროექტირების განყოფილების
უფროსი სპეციალისტი: დავით მალაზონია